

კოლონიზებულთა ხმა ჩინუა აჩებეს რომანში „ყველაფერი ნაცარტუტად
იქცევა ბოლოს“ და მის ქართულ თარგმანში

საბა ყაფლანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

საბა ყაფლანიშვილი, 18.06.2024

აბსტრაქტი

ბრიტანულმა კოლონიალიზმმა ინგლისური გლობალურ ენად აქცია, რის შედეგადაც მსოფლიოს არაერთ კონტინენტზე წარმოიშვა ადგილობრივი ინგლისურენოვანი ლიტერატურული ტრადიციები. თუმცა, განმათავისუფლებელი მოძრაობების შემდგომ წარმატებებთან ერთად, არაერთი პოსტკოლონიური მწერალი შეეცადა ყოფილი კოლონიზატორის ენაზე ადგილობრივთა სათქმელის გადმოცემას.

ჩინუა აჩებს რომანის “Things Fall Apart” (ქართ. „ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა ბოლოს“) ინგლისური და ქართული ტექსტების შედარების საფუძველზე ვაჩვენებ, რა გზებით მოახერხა ავტორმა ინგლისური ტექსტის აფრიკულ სინამდვილეში გადატანა და რა სტრატეგიებს იყენებს მთარგმნელი პოსტკოლონიური დისკურსის მახასიათებლების სამიზნე ტექსტში ტრანსპოზიციისთვის. საამისოდ გამოვიყენე ლორენს ვენუტისეული გაშინაურებისა და გაუცხოურების ცნებები.

როგორც ორი ტექსტის შედარებითმა ანალიზმა გვაჩვენა, ავტორი, ადგილობრივი რეფერენციების, ზეპირსიტყვიერების ტრადიციების და იგბოს ინსტიტუციების მოშველიების გზით, ახერხებს, ტექსტის გადატანას აფრიკულ რეალიებში და აღნიშნული პრინციპი მაქსიმალურად შენარჩუნებულია ქართულ თარგმანშიც.

საკვანძო სიტყვები: პოსტკოლონიალიზმი, ინტერკულტურული წერა, თარგმნის სტრატეგია, გაუცხოურება, აფრიკული ლიტერატურა

Abstract

“Voices of the Colonized in Chinua Achebe’s “Things Fall Apart” and Its Georgian Translation”

British colonialism made English a global language, giving rise to local traditions of Anglophone literature on almost every continent. However, with the subsequential success of liberation movements, many postcolonial writers aimed to make the language of the former colonizer convey the voice of the locals.

By comparing English and Georgian texts of Chinua Achebe’s novel “Things Fall Apart”, I intend to show the ways in which the author managed to bring an English text into the African reality, and which strategies the translator chose in order to transpose the characteristics of the postcolonial discourse into the target text. To do this, I will rely on Lawrence Venuti’s concepts of domesticating and foreignizing.

As indicated by the comparative analysis of the two texts, the author, by employing local references, oral traditions, and Igbo institutions, has rooted the text in African realities. The said principle is largely preserved in its Georgian translation.

Key words: postcolonialism, intercultural writing, translation strategy, foreignizing, African literature